„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი • №7 • 1-15 (9455) აპრილი • 50 თეთრი

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში</u>

შეხვედრა მსოფლიოში აღიარებულ დირიჟორთან

საქართველოს სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მსოფლიოში აღიარებული ხელოვანი ვახტანგ მაჭავარიანი და ბიზნესმენი გიორგი დავითაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ლევან კუპრეიშვილს, მერის პირველ მოადგილეს გრიგოლ ბაღათურიას, მერის მოადგილეს კახაბერ კუპრეიშვილს და განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სპეციალისტს ირმა კუპრეიშვილს შეხვდნენ. გამოჩენილი მუსიკოსი სენაკს კამერული მუსიკის ფესტივალის დაფუძნებასთან დაკავშირებით ეწვია. შეხვედრაზე განხილულ იქნა ამ იდეის განხორციელების დეტალები. - კულტურული ტრადიციებით გამორჩეული სენაკელებისთვის ეს იქნება კიდევ ერთი ძვირფასი შესაძლებლობა ფესტივალის დღეებში გახდნენ ხელოვნების ჭეშმარიტი დღესასწაულის თანამონაწილენი - აღნიშნა შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა და პროექტის განხორციელებისთვის მზადყოფნა გამოთქვა. შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმრებმა მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლა და რესტავრირების პროცესში მყოფი აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო პროფესიულ-დრამატული თეატრი დაათვალიერეს.

ქვეყნისათვის თავგანწირულ ერისკაცს 80 წელი შეუსრულდებოდა



სენაკში, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული გმირის, მეცნიერის, მწერლის, მთარგმნელის, პოლიტიკოსის, დისიდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩეული ლიდერის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლის იუბილე აღინიშნა. კვირეულს ესწრებოდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები. დილიდან, იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის საყოველთაო რეფერენდუმიდან 28-ე წლისთავს მიეძღვნა ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სენაკის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა „კოლხურმა ტრიომ“, ხელოვნების ცენტრის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მიიღეს. საღამოზე მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტმა ლია ღვამბერიამ ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და ღვაწლზე. ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ორი უმნიშვნელოვანესი თარიღისადმი მიძღვნილი კვირეული სამხატვრო გალერეაში გაგრძელდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-გამოფენა... ეკრანზე გაცოცხლებული წარსული - ეროვნული სულისკვეთებითა და მისეული სიბრძნით გამსჭვალული, ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ერისკაცის მიმართვები მშობლიური ხალხისადმი... უზენაესი საბჭოს დეპუტატის, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლის იგორ ნარმანიას შვილიშვილის იგორიკო ნარმანიას მიერ ხაზგასმული აქცენტები ეროვნული გმირის მოღვაწეობიდან... - ასეთი სევდანარევი სიამაყით დასრულდა საღამო, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოკვეთა საკუთარ ქვეყანას ზვარაკად შეწირული ეროვნული გმირის სიდიადე.

მადლობა თავისუფლებისთვის...

9 აპრილის ტრაგედიიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული, საჯარო ბიბლიოთეკაში

გამართული თემატური ღონისძიებით - „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“ გაიხსნა. „ჩვენ პატივს მივაგებთ 9 აპრილს, სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას და ამავე დროს, სიამაყით აღვნიშნავთ საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღს - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. 9 აპრილი ერის ისტორიაში დარჩება როგორც სიმამაცის, ერთიანობის, თავისუფლებისა და თავგანწირვის სიმბოლო” - აღინიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გამართულ ღონისძიებაზე, რომელსაც შესაბამისი სტრუქტურებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კვირეულის ფარგლებში, ჟიული შარტავას მუზეუმში გამართულ ღონისძიებაზე - „მადლობა, თავისუფლებისთვის...”, გაიხსენეს 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამდე ქვეყანაში განვითარებული მოვლენები, 9 აპრილს რუსი ჯალათების მიერ უმოწყალოდ დაჩეხილი გოგო-ბიჭები. შეხვედრის მონაწილეებმა მათი გმირობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. კვირეულის მიზანი იყო 1989 წლის 9 აპრილს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპული 21 ადამიანის მიმართ მადლიერების გამოხატვა.

XXX

საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის ერთდროულად ტრაგედიისა და სიხარულის დღედ შერაცხული სისხლიანი 9 აპრილისადმი მიძღვნილი კვირეული სენაკში მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით გამართული გალა-კონცერტით დასრულდა. ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სხვადასხვა სტრუქტურისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღია ცის ქვეშ გამართულ საღამოზე, რომლის სცენარის ავტორი და წამყვანი გახლდათ მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტი ლია ღვამბერია, რეჟისორი - ვეფხვია გორგოძე, ცენტრთან არსებული სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხის” მოცეკვავეები, ახალგაზრდულ თეატრ „ფიროსმანის” ნორჩი მსახიობები, საესტრადო განყოფილების აღსაზრდელები. „კოლხური ტრიოს” სოლისტის ბელა ქამადაძისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სპეციალისტის, მომღერალ სალომე ბერიშვილის მიერ შესრულებულმა 9 აპრილის განუყოფელმა მელოდიებმა საღამოს მეტი ხიბლი შემატეს. კვირეულისა და გალა-კონცერტის ამაღელვებელმა ბოლო აკორდმა მაყურებლის განსაკუთრებული ემოცია გამოიწვია. მორის ფოცხიშვილის ტექსტზე ჯემალ სეფიაშვილის მიერ შექმნილმა 9 აპრილის ჰიმნად ქცეულმა უკვდავმა მელოდიამ „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები” ამჯერად, სცენაზე, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი გააერთიანა. სევდიანი სიამაყით ნამღერმა ერთიანობის საგალობელმა, სიმბოლურად, საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ბიუსტის წინ სანთლებით გამოსახულმა წარწერამ - 9 აპრილი და დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ცაში აშვებულმა 21-მა ფრანმა, სენაკში ოცდამეათე 9 აპრილი დაასრულა.

ოცდამეათე 9 აპრილი სენაკში

„მადლობა თავისუფლებისთვის” - ასეთია ოცდამეათე 9 აპრილის გზავნილი მთელი საქართველოსთვის. საქართველოს უახლოეს ისტორიაში ეს უმნიშვნელოვანესი გარდამტეხი თარიღი სენაკში, მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა. დილიდან, 9 აპრილის სკვერში, სადაც სისხლიანი კვირის მოვლენების ამსახველი ფოტოგამოფენა მოეწყო, თავი მოიყარეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი კალანდარიშვილმა, საკრებულოს წევრებმა, სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებმა და მოქალაქეებმა ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი და პატივი მიაგეს ქვეყნისათვის ზვარაკად შეწირულთა ხსოვნას. წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. საქართველოსთვის შეწირულთა ხსოვნასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიულ თარიღებს მიეძღვნა სენაკის სამხატვრო გალერეაში ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, რომლის შემდეგაც სამხატვრო და სამუსიკო სკოლების მოსწავლეების მიერ მოიხატა სამუსიკო სკოლის მიმდებარე ტერიტორია. კვირეულის ფარგლებში, სენაკის სპორტის სასახლეში გაიმართა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ჩემპიონატი კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, ფოთის, სენაკისა და სამტრედიის ნორჩ კალათბურთელთა გუნდებმა. ტურნირის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში, ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა 9 აპრილისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის
და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

ჯემალ აჯიაშვილი-75

„განსაკუთრებულობა საღამოს სენაკმა შესძინა“

24 მარტს დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში გაიმართა ცნობილი ქართველი პოეტის,

მთარგმნელის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი, მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაცია „ესთა”, საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს ებრაელთა კავშირი.

საღამოს დაესწრო ისრაელის სახელმწიფოს ელჩი საქართველოში შაბთაი ცური, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, თბილისის ებრაული თემისა და ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის საბჭოს თავმჯდომარემ ჯამლეტ ხუხაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული მოძრაობის” თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის წერილები მიძღვნილი ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნისადმი.

საღამოს უძღვებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე თამარ მახარაშვილი. საღამოზე წარმოდგენილი იყო აუდიო და ვიდეო მასალა ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გამომსვლელებმა თბილად მოიგონეს ბატონი ჯემალი და ისაუბრეს საქართველოს კულტურისათვის მეტად მნიშვნელოვან მის მოღვაწეობაზე.

საღამოს კულმინაცია იყო სენაკის №1, №3, №7 საჯარო სკოლების, სენაკის ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლის, სენაკის კერძო სკოლა „პელაგონის”, არნოლდ ჩიქობავას სახელობის სოფ. ძველი სენაკის საჯარო სკოლის, სოფელ ნოქალაქევისა და სოფელ ნოსირის საჯარო სკოლის მოსწავლეების (სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის რეჟისორი ვეფხვია გორგოძე) მიერ წარმოდგენილი აჯიაშვილის შემოქმედებაზე დაფუძნებული ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენა.

„ძალიან თბილი და ჯემალ აჯიაშვილის შესაფერისი საღამო გამოგვივიდა ყველას ერთად, თუმცა განსაკუთრებულობა

ამ საღამოს ისევ სენაკმა შესძინა. ეს იყო ქართული სიტყვის ზეიმი, რადგან სწორედ საქართველოს მომავალი მეტყველებდა იმ ქართულით, რომელზეც ჩვენი თაობები უნდა გაიზარდონ! მადლობა სენაკს! მადლობა სენაკის მერიას, რომ ასეთი შესაძლებლობა მოგვცეს!” - აღნიშნა თამარ მახარაშვილმა.

ღონისძიებაში მონაწილე ახალგაზრდები მადლობას უხდიან სენაკის მერს გაწეული თანადგომისათვის და აღნიშნავენ, რომ 24 მარტი დაუვიწყარ ფურცლად ჩაეწერება მათ ცხოვრებაში.

ირმა კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი

„შენ განგადიდებ უკუნისამდე“

საქართველოში პირველად ებრაელები 26 საუკუნის წინ დასახლდნენ და მას შემდეგ ერთობლივად იქმნება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ამ ორი ერის მეგობრობა ისეთივე ბრენდად იქცა, როგორც მაგალითად, ქართული სტუმართმოყვარეობაა, ქართული მრავალხმიანობაა. საბედნიეროდ მრავლად მოგვეპოვება ქართველი -ებრაელები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითრებაში. ბევრი საზოგადო მოღვაწე შეგვიძლია დავასახელოთ, ეს უდაოდ შორს წაგვიყვანს, ამიტომ დღეს გიამბობთ ქართველი ებრაელი მწერლისა და პოეტის, სენაკის საამაყო შვილის ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. თავად ბატონი ჯემალი ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის დიდ სიყვარულსა და განსხვავებულ ურთიერთდამოკიდებულებას, თავის ერთერთ ინტერვიუში ასე ხსნის: „საქართველო და ქართველი ხალხი რომ სტუმართმოყვარეა, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ქართველთა დამოკიდებულებას საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მიმართ მარტო სტუმართმოყვარეობას ვერ უწოდებ, იგი უფრო დიდია, რასაც მშობლიური სიყვარული ჰქვია, ამიტომაცაა, საქართველოდან წასულ ებრაელებს შენარჩუნებული აქვთ ბევრი ქართული ზნე-ჩვეულება; თითოეული მათგანის ყოფა-ცხოვრებაში იგრძნობა ქართული ყოფითი რეალიები – სუფრა და კერძები ქართული იციან, ქეიფისას ქართულადაც ცეკვავენ და მღერიან, ოჯახიდან ფხიზელ სტუმარს არ უშვებენ. ეს ყოველივე იმის დასტურია, რომ ისტორიულად ებრაელობა ყველაზე უკეთ ქართულ მიწას შეეთვისა, ამასთანავე, ყველაზე კარგად შეინარჩუნა თავისი ოდინდელი ტრადიციები და ცხოვრების მამაპაპეული ბიბლიური წესი. ნიშანდობლივია ალბათ, ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აქედან ჩასულ ებრაელობას ქართველებს ეძახის.“

თუ ბატონი ჯემალის ბიოგრაფიას და ცხოვრებას გადავავლებთ თვალს მივხვდებით, თუ რამდენად შესისხლხორცებული ჰქონდა მას საქართველო და ქართველი ხალხის სიყვარული, იგი ერთნაირად წარმატებული იყო სხვადასხვა სფეროში.

ჯემალ აჯიაშვილი დაიბადა 1944 წელს 23 მარტს ქალაქ სენაკში. სკოლის დამთავრებისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ყველასგან გამოირჩეოდა თავისი ნიჭითა და შრომის კულტურით. 1968-1971 წლებში ირანში ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სპარსული ენის თარჯიმანი იყო. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელად, მწერალთა კავშირის მთავარი მთარგმნელობითი კოლეგიის უფროს მეცნიერ-რედაქტორად.

ჯემალ აჯიაშვილის თარგმანები ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოქვეყნდა „პირველ სხივში“, შემდეგ კი ჟურნალ „ხომლში“ იბეჭდებოდა. წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი უბადლო მთარგმნელი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიტყვათქმნადობაში მას ბადალი არ ჰყავდა და საოცარი ოსტატობით იყენებდა ქართული ენის შესაძლებლობებს. დიდი გატაცებითა და ესთეტიკით შთაგონებული თარგმნიდა ძველეგვიპტურ საგალობლებსა და სპარსულ პოეტურ კლასიკას; აგრეთვე – შექსპირის, ჩიკამაცუს, კალდერონის, ტირსო დე მოლინას, კარლგოცის დრამატულ პოემებს; დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს, ვივალდეს,რილკეს სონეტებს; ნელი ზაქსის, მაიაკოვსკის, მანდელშტამის, პასტერნაკისა და სხვათა პოეზიას.

მისი თარგმანები არავის გულგრილს არ ტოვებდა, შესაბამისად, არ აკლდა პრემიები და ჯილდოები, მათ შორის მიღებული აქვს: საქართველოს სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის. პარიზის ქართულ -ევროპული ინსტიტუტის, ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიები. ებრაული კლასიკური პოეზიის ქართულად თარგმნის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 1998 წელს გადაეცა ისრაელის პრეზიდენტის ეზერ ვაიცმანის საპატიო სიგელი; იყო ღირსების ორდენის კავალერი. 2005 წელს მიიღო პრემია „საბა“ საუკეთესო თარგმანისათვის „ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა“.

ჯემალ აჯიაშვილის თარგმანები იბეჭდებოდა წიგნებად. განსაკუთრებით ამაღელვებელია ფსალმუნთა მისეული თარგმანი. დასტურად მხოლოდ ამ ერთ ნიმუშს მოვიხმობთ. მასში იგრძნობთ ამაღლებული ესთეტიკის მომნიჭებელ ძალას და თავად მთარგმნელის საოცრად ფაქიზ სულს: „უფალო ჩემო, შემისმინე და შემინყალე, გესავ, უფალომეოხად მექმენ, როკვად აქციე გოდება ჩემი, გოდება ჩემი, შემომაძარცვე ძაძა-ფლასები და შემომასხი სიხარულის შესამოსელი, რომ გიგალობო, დიდებაო, და არ დავდუმდე, უფალო ჩემო, მეუფევ ჩემო, შენ განგადიდებ უკუნისამდე“.

ჯემალ აჯიაშვილი 2013 წელის 5 იანვარს გარდაიცვალა 68 წლის ასაკში.

მას დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით მშობლიურ ქალაქში მის იუბილეს ღონისძიებების კვირეული მიეძღვნა. 18-დან 22 მარტის ჩათვლით ღონისძიებები ჩატარდა:

სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და შოთა მესხიას სახელობის კოლეჯის სტუდენტებისათვის მიმდინარეობდა ქართულ-ებრაული კულტურის დიდი მოღვაწისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ჩვენება.

ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლაში ჩატარებული ღონისძიება მიეძღვნა ქართველი და ებრაელი ერის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას და ორი დიდი მამულიშვილის ჟიული შარტავასა და ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების წლებს.

ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო და ფოტოგამოფენა.

კვირეულის დასკვნით დღეს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, საკრებულოს დეპუტატებმა, თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლებმა ჯემალ აჯიაშვილის სახელობის სკვერში ყვავილებით შეამკეს მწერლის ბარელიეფი, რის შემდეგაც საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა დასკვნითი საიუბილეო საღამო.

მუზეუმის ფოიეში სუფევდა სასიამოვნო გარემო. ვიოლინოს მელოდიის ფონზე დამთვალიერებლებს შეეძლოთ გასცნობოდნენ უნიკალურ ფოტოარქივს, რის შემდეგაც ღონისძიებამ გადაინაცვლა საგამოფენო დარბაზში. ჯემალ აჯიაშვილის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნამოღვაწარი, მისი ორი სამშობლოს თანაცხოვრების ულამაზესი ისტორიის ფურცლები, მისი მოგონებები მშობლიურ ქალაქზე და უძველესი ებრაული კულტურით ნასაზრდოები ყოვლისდამტევი შემოქმედება წარმოჩნდა გამომსვლელთა სიტყვებში.

ღონისძიება გასხნა სენაკის საპატიო მოქალაქემ, ბატონმა დამირ კუჭავამ. მან მოკლედ ისაუბრა ბატონი ჯემალის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და თუ რამდენად დიდი წვლილი შეიტანა მან ქართველი და ებრაელი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. გამომსვლელთა შორის საინტერესო იყო ქალბატონების ლუარა ჯიქიასა და მზია ბარქაიას (მე-2 და მე-7 სკოლის პედაგოგები), მარიამ ბაღათურიას (მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე), ბატონი ბედის დავითაიას (მწერალი) გამოსვლები. ქალბატონი მარინა აბრამიას (ჟიული შარტავს სახელობის მუზეუმის სპეციალისტი) მოგონებები გაჯერებული იყო ცისანა შარტავასა და ლია ჯალაღონია-შარტავას მონაყოლით.

დიდ ეკრანზე, დოკუმენტურ კადრებში, აჩვენეს ჯემალ აჯიაშვილის ექსკლუზიური ინტერვიუების ჩანაწერები. ეკრანზე გაცოცხლებულ დოკუმენტურ კადრებში, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრთან არსებულ ახალგაზრდულ თეატრ „ფიროსმანის“ მსახიობების მიერ შთამბეჭდავად იქნა წარმოდგენილი ლიტერატურული კომპოზიციები.

თავისი ორი სათაყვანებელი სამშობლოს კულტურის განდიდებას შესწირა ჯემალ აჯიაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება. მისი თარგმანები სულში ჩაღვრილ სათნოებად დარჩა ქართველი მკითხველისათვის.

საამაყო და ძალზედ სასიამოვნოა, როცა ისეთ პატარა ქალაქს, როგორიც სენაკია, ჰყავს ბევრი სახელგანთქმული პიროვნება. მათ შორის ღირსეული ადგილი უჭირავს ბატონ ჯემალ აჯიაშვილს. მის ნამოღვაწარს არასოდეს დაივიწყებს სამშობლო და მისი მშობლიური კუთხე სენაკი.

მარიკა მიქაბერიძე

ჯანმრთელი გული, ჯანმრთელი სიცოცხლე

უფასო სამედიცინო გასინჯვა-გამოკვლევა „სენა-მედში“

23 მარტს სენაკის მუნიციპალიტეტის მრავალპროფილიან კლინიკა „სენამედში“ გულსისხლძარღვთა დაავადებაზე ჩატარდა მოსახლეობის უფასო გასინჯვა-გამოკვლევა. თბილისის მთავარი ჰოსპიტალის „ღია გული“-მე-5 კლინიკური საავადმყოფო და კლინიკა „სენამედის“ ძალებით.

აქციის ფარგლებში სენაკში ჩამოვიდნენ „ღია გულის“ წამყვანი სპეციალიტები: **დოდო ნაფეტვარიძე**-კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, **ლალი გუჯეჯიანი** – კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, **გიორგი ცხომელიძე**-კარდიოლოგი, არითმოლოგი, კახაბერ **ლაცუზბაია**-კარდიოქირურგი, კარდიოქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელი, **ეთერ ხითარიშვილი**-ნევროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნევროლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი. აქციის ორგანიზატორები იყვნენ „ღია გულის“ აღმასრულებელი დირექტორი დავით **მიქელთაძე** და დასავლეთ საქართველოს პროექტების მენეჯერი **ედიშერ მარგველაშვილი**.კონსულტაციაში ჩართული იყვნენ კლინიკა „სენამედის” დირექტორი **გიორგი თოლორდავა**, კლინიკის მენეჯერი **ილია ჯაფარიძე**, კარდიოლოგი **ირაკლი ცხვიტავა**.

ჩვენ გავესაუბრეთ აქციაში მონაწილე ექიმებს, მოსახლეობას.

დოდო ნაფეტვარიძე – მე არაერთხელ ვარ ნამყოფი დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში, მათ შორის თქვენს რეგიონში. ვთანამშრომლობთ სენაკის მუნიციპალიტეტის კარდიოლოგებთან. აქაური ექიმების პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენთან თბილისში კონსულტაციაზე გამოგზავნილი პაციენტები მოდიან სწორი დიაგნოზით. მათ ჩვენთან უტარდებათ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება. დღეს ვიმყოფებით სენაკში, რათა დავეხმაროთ მოსახლეობას. გულსისხლძარღვთა მხრივ პათოლოგიების გამოვლენასა და დროული მკურნალობის დაწყებაში.

ნინო გოგოლი-სენაკის მკვიდრი - მაწუხებს გულის უკმარისობა, ტკივილები გულმკერდის არეში. უფასოდ ჩამიტარდა კვლევა, გადამიღეს ელექტროკარდიოგრამა, გულის ექოსკოპია, გავიარე კონსულტაცია ქალბატონ დოდო ნაფეტვარიძესთან. საოცრად ყურადღებიანი და მაღალი კვალიფიკაციის ექიმია. დამინიშნა მედიკამენტები, მომცა რჩევა-დარიგება. მინდა მადლობა გადავუხადო დღევანდელი დღის ორგანიზატორებს, რომელთაც მოგვცეს შესაძლებლობა ქალაქიდან გაუსვლელად მივიღოთ უფასო სამედიცინო მომსახურება.

ლარისა გიგიბერია- დაავადებული ვარ პარკისონით, მაწუხებს სტენოკარდია, მოჭერითი ხასიათის ტკივილები გულ-მკერდის არეში. ვიმყოფებოდი გასინჯვაზე როგორც კარდიოლოგთან, ისე ნევროლოგთან. ძალიან კმაყოფილი ვარ და მინდა მადლობა გადავუხადო კლინიკა „ღია გულის” ექიმებს და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა ამ მნიშვნელოვან საქმეს.

კახაბერ ლაცუზბაია, კარდიოქირურგი-უპირველესად მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულია და ფართოდ არის დანერგილი გულის ქირურგიული მეთოდებით მკურნალობა. ჩვენი რეგიონებში ჩამოსვლის მიზანია გამოვავლინოთ მოსახლეობაში გულის თანდაყოლილი და შეძენილი დაავადებები, ოპერაციის აუცილებლობის საკითხი გადავწყვიტოთ დაავადების სახეობის დადგენის შემდეგ. უფასო გასინჯვა-გამოკვლევის მიზანი გახლავთ ადრეულ ეტაპზე გამოვავლინოთ ქირურგიული მეთოდებით მკურნალობის საჭიროება.

გოჩა სახოკია, სენაკის მკვიდრი - ვიმყოფებოდი გასინჯვაზე კახა ლაცუზბაიასთან და გიორგი ცხომელიძესთან რამდენიმე წლის წინ გავიკეთე გულის ოპერაცია, შედეგი ცუდი არა მაქვს, მაგრამ ვსაჭიროებ პერიოდულ შემოწმებას. ძალიან კარგია რომ ჩვენი ქალაქის მოსახლეობას მოგვეცა შესაძლებლობა მოვხვდეთ ასეთი მაღალი დონის პროფესიონალებთან და მათგან მივიღოთ საჭირო რეკომენდაციები.

ლუდა ძაძამია, სოფ. თეკლათის მცხოვრები-კმაყოფილი დავრჩი. მაწუხებს თავის ტკივილი. ნევროლოგმა მომცა რჩევა, დამინიშნა მედიკამენტები. ჩემი ასაკის მქონე ადამიანისათვის დედაქალაქში წასვლა, რიგში დგომა, ექიმთან მისვლა ფინანსებთან და დიდ ენერგიასთან არის დაკავშირებული. მადლობა ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ექიმების ჩამოყვანაში.

დავით მიქელთაძე, „ღია გულის” აღმასრულებელი დირექტორი-მოგეხსენებათ „ღია გულში” მოქმედებს სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების სრული სპექტრი და ამ პროგრამის ფარგლებში ვემსახურებით მოსახლეობას.

კლინიკა „სენა-მედში” პირველად არ ვართ. აქ არის ნამდვილად გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საჭირო სადიაგნოსტიკო აპარატურა.

თუკი უფასო გასინჯვაზე გამოვლენილ პაციენტებს დასჭირდებათ უფრო მაღალი დონის კვლევა, კარდიოქირურგიული ჩარევა, ლაბორატორიული ანალიზები ჩვენი ჰოსპიტალის მედიკოსები მზად არიან პაციენტებს გაუწიონ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება. მინდა ჩვენი კლინიკის სახელით მადლობა გადავუხადო „სენა-მედის” დამფუძნებელს ბატონ გიორგი თოლორდავას ერთობლივი თანამშრომლობისათვის.

აქციის ფარგლებში 150 -მა ადამიანმა მიიღო უფასო კონსულტაცია. პაციენტებმა, მოსახლეობამ ერთობლივად დააფიქსირა აზრი, რომ ნამდვილად მოსაწონი და ხალხისათვის სასარგებლო პროექტი განხორციელდა.

გულის ნორმალურ მუშაობაზე არც მეტი, არც ნაკლები ჩვენი სიცოცხლეა დამოკიდებული. რაც უფრო ადრე შევამჩნევთ გულსისხლძარღვთა მხრივ პათოლოგიას და დავიწყებთ დროულ მკურნალობას, მით უფრო გავიხანგრძლივებთ სიცოცხლეს.

უფასო პროფილაქტიკური გამოკვლევებით „ღია გული” და კლინიკა „სენამედი” გვეხმარებიან ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში.

სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სახელით კიდევ ერთხელ გვინდა მადლობა ვუთხრათ მათ.

მედეა ბაღათურია

ქალბატონები სამეცნიერო სფეროდან

27 მარტს სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა „ცოცხალი წიგნის” პრეზენტაცია.შეხვედრა მიჰყავდა „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი”-ს პედაგოგს, მუსიკათმცოდნეს ქალბატონ ლია ქობალავას –

მოწვეულმა ქალბატონებმა ისაუბრეს თავიანთ სამეცნიერო საქმიანობებზე.

ნელი ხორავა-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დაამთავრა სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ასპირანტურა, 1985 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ევკალიპტის ნერგის გამოყვანის ახალი ტექნოლოგიის შემუშავება”. არის 12 სამეცნიერო შრომის ავტორი. დანერგილი აქვს 2 რაციონალიზატორული წინადადება, იყო 15 მოწვევის რაიონული და სასოფლო საბჭოს დეპუტატი, რაიკომის წევრი. დაჯილდოებულია მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი.

მზისადარ ბჟალავა – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მიმართულების პროფესორი, -დამთავრებული აქვს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომისტ-ორგანიზატორის სპეციალობით, დაიცვა დისერტაცია თემაზე-„სახალხო მეურნეობის და მისი დარგების(სოფლის მეურნეობა)ეკონომიკა, დაგეგმვა და მართვის ორგანიზაცია”, სადისერტაციო თემა- „მერძეული მესაქონლეობის ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები კოლხეთის დაბლობის საზოგადოებრივ მეურნეობებში”, გამოცემული აქვს სახელმძღვანელო: ეკონომიკის პრინციპები, (I-II ნაწილი), ლექციების კურსი მარკეტინგში, თანაავტორია პროფესიულ განათლებაში მოდულის მეწარმეობის პროგრამის(ავტორი კ.ერაძე-განათლების სამინისტროს პროფესიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი), არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საქართველოს ფაზისის აკადემიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკ. წერეთლის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი...

ლალი ხარბედია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, -აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის პროფესორი- დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ეკონომისტის სპეციალობით. დაიცვა დისერტაცია თემაზე „ გეოპოლიტიკური ფაქტორი ეკონომიკური განვითარების გლობალიზაციის პირობებში.” არის არაერთი სამეცნიერო შრომისა და სტატიის ავტორი, გამოცემული აქვს სამი სახელმძღვანელო, არის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ბიზნესის მართვის დეპარტამეტის ხელმძღვანელი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ბუღალტერთა და აუდიტორთა საერთაშორისო ფედერაციის ასოცირებული წევრი.

ელისო ხარბედია, სენაკში სამშობიარო სახლის კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი- დაამთავრა ორენბურგის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, გაიარა ინტერნატურა თერაპიაში, კლინიკური ორდინატურა შინაგან სნეულებებში თერაპიის კათედრაზე ორენბურგის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ბაზაზე. დაამთავრა ასპირანტურა თერაპიის კათედრაზე ორენბურგის სახელმწიფო აკადემიაში-მუშაობდა თემაზე, რომელიც ეხებოდა ინფარქტის შემდგომი გულის უკმარისობის პროფილაქტიკას და თანამედროვე მკურნალობის საკითხებს. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია კარდიოლოგიაში, არის სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი, მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებში. მიღებული აქვს სახელმწიფო სერთიფიკატი კარდიოლოგიაში

ნანა ფაჩულია, აიპ საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის დეკორატორი, დამთავრებული აქვს სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი აგრონომის კვალიფიკაციით. მუშაობდა აფხაზეთის სახელმწიფო ინსტიტუტში, შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრაზე. დაამთავრა ასპირანტურა მებაღეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. დაიცვა დისერტაცია თემაზე - „ბროწეულის, ზეთისხილისა და ჩინური აქტინიდიის წარმოების პროგრესული ტექნოლოგია”.

ლია ქობალავა, სენაკის სამუსიკო სკოლის პედაგოგი- დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობა საკომპოზიციო ფაკულტეტი. არის ავტორი რეფერატისა თემაზე: ოთხმიანობის ფენომენი ქართულ სასიმღერო შემოქმედებაში. აპრობაცია გაიარა ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკისა და ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრაზე. მუშაობა 16 წლის ასაკში დაიწყო, 1966 წლიდან სენაკის სამუსიკო სკოლაშია, ჯერ პედაგოგად, შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგედ, 2006 წლამდე იყო სამუსიკო სკოლის დირექტორი.

ქალბატონ ლიას შესახებ 1997 წლის № 5 გაზეთში „განათლება, მეცნიერება, ბიზნესის” ფურცლებზე ვკითხულობთ: „სამშობლოსა და ერის სადიდებლად გაწეული თავდადებული, მამულიშვილური შრომისათვის ბოლო წლებში შექმნილი სიძნელეების მიუხედავად თქვენი ხელმძღვანელობით სამუსიკო სკოლას სასწავლო პროცესი არ შეუწერებია, ამასთან აქტიურად ეწეოდით პედაგოგიურ, შემოქმედებით და სამეცნიერო კვლევით საქმიანობას.

საქართველოს პრეზიდენტის მადლობის წერილის მიღების ცნობამ დიდად გაგვახარა სენაკის მეცნიერთა საზოგადოება. გილოცავთ თქვენ და თქვენს კოლექტივს ამ დიდი აღიარებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს”.

შეხვედრაზე სიტყვით გამომსვლელებმა ედიშერ ბაღათურიამ, დამირ კუჭავამ, ვეფხვია ვეფხვაძემ, ლავანდა ხურცილავამ აღნიშნეს, რომ შეხვედრა იყო ძალიან საინტერესო და შინაარსობრივად დატვირთული.

სტუმრების წინაშე წარსდგნენ ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის ფოლკლორული ანსამბლი „მორდუს” წევრები (ხელმძღვანელი ლაღი გოგია),

დასასრულს ქალბატონმა ლიამ აღნიშნა, ჩვენი მიზანი იყო შევხვედროდით მუნიციპალიტეტში მოღვაწე მეცნიერ ქალბატონებს, რომლებიც ათეული წელია იღვწიან სამეცნიერო სფეროში და თავიანთი მეცნიერული პოტენციალი მოახმარეს სენაკს, გაგვეცნო ახალგაზრდებისათვის თუ როგორი დამსახურებული ადამიანები არიან ჩვენს გვერდით და კიდევ ერთხელ მიგველოცა მათთვის გაზფხულის დღესასწაულები”. მან მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისათვის ლევან უჩანეიშვილს, ვეფხვია ვეფხვაძეს და ედიშერ ბაღათურიას მხარდაჭერისათვის.

მ. გერგაია

„იმ ჩუმთა მუშაკთა უჩინო ღვაწლი“

საამაყოდ განვლილი გზა

„ადამიანი ხატებაა ღვთაებისა განა ხორცითა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოჰმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს ვით კერძო ღვთისა. ის ერთი სული და გულია, უჭკნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი“. ამ „უჭკნობი სულით და გულით“ გამორჩეული ქალბატონია დღეს ჩვენი წერილის ადრესატი. ის განსხვავებულია თავისი ცხოვრების წესით, მორალით, მოყვასისადმი დამოკიდებულებით, პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმით და ა.შ. საუბარი ნელი ჯანჯღავაზეა, სოფელ მეორე ნოსირის ბიბლიოთეკარზე. კოლეგებმა და ნაცნობებმა იციან თუ რა ოქროს გული აქვს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორი აქტიური, გულშემატკივარი და ინიციატივიანია. მზრუნველი, ჭირში თუ ლხინში თანამდგომია, ვინმეს რამე თუ შეეშალა, დამრიგებლად, გზის მაჩვენებლად ნელი იქვეა, კარგი საქმე გაკეთდა და ყურადღებაა გამოსახატი, წახალისებაა საჭირო, აქაც ნელია, ავადაა თუ ხელმოკლედაა ვინმე, მას მზრუნველობას ვინ დაასწრებს, თავის ლუკმას გაუყოფს სხვას.

ნელის ბიბლიოთეკაში უცვლელად მუშაობის ორმოცი წლის სტაჟი აქვს. მას ძალიან უყვარს თავის საქმე, წიგნები. განუკითხაობის ჟამს – სამოქალაქო ომის პერიოდში, როცა შიშით გარეთ გამოსვლა ჭირდა, ნელი გუშაგივით იცავდა ბიბლიოთეკას, კლუბს. სოფლის პენსიონერებს „კოლხეთზე“ ხელი რომ არ მიუწვდებათ და აინტერესებთ, სამსახურის შემდეგ ნელი მათ სტუმრობს გაზეთის ახალი ეგზემპლარებით. ერთი სიტყვით იგი გაჭირვების ტალკვესია, ყველასთვის სიხარული მოაქვს უშურველად, უანგაროდ. ალბათ უფალმა დაანათლა სხვების გახარება, ის ხომ ხარება დღეს, 7 აპრილს დაიბადა.

ქალბატონო ნელი! ამ პატარა წერილით გვინდოდა ჩვენი სიყვარული გამოგვეხატა შენდამი, რომელიც ნაათალიც არ არის იმის, თავად რომ გასცემ. „კოლხეთელები“ გაჩენის დღეს გილოცავთ, დამსახურებული პიროვნება ხართ, ყველა თვისებით შემკული, საამაყოდ განვლილი გზით, იხარეთ, იდღეგრძელეთ. ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს გისურვებთ.

ნინო სართანია

სპორტის სიახლენი

23 მარტს, თბილისში გამართულ მე-9 საერთაშორისო ტურნირში ,,OPEN TBILISI" სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის, ნორჩმა კარატისტმა ანდრიამ გუგუნავამ დაიკავა II - ადგილი (8-9წ) კატაში.

ვულოცავთ ანდრიას და მის მწვრთნელს, ელგუჯა ჩემიას გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

***

2019 წლის 25-26 მარტს ხაშურში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

ტურნირში 254 სპორტსმენი ღებულობდა მონაწილეობას. სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოჭიდავემ გიორგი ჭაავამ დაიკავა III ადგილი (72კგ.წ/კ) და ჩაირიცხა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. იგი დაჯილდოვდა შესაბამისი ხარისხის მედლით და სიგელით.



ვულოცავთ გიორგის და მის მწვრთნელს რამაზ კოკაიას გამარჯვებას. ვუსურვებთ წარმატებებს მომავალ ასპარეზობებზე.

***

2019 წლის 2-8 მარტს ფოთში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი (პირველი ლიგა დასავლეთის ზონა) ჭადრაკში 8-9-12 წლის ჭაბუკთა შორის.

მათე ლომიამ პირველი ადგილი დაიკავა., გიორგი ჭანტურიამ –მეორე ადგილი 12 წლიანებში და მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური,რომელიც ჩატარდება თბილისში 8-20 მაისს. მწვრთნელი ზურაბ ლიფონავა.

***

2019 წლის 15-16 მარტს სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების სპორტის სასახლეში ჩატარდა იგორ ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი ჭაბუკთა და გოგონათა შორის ჭიდაობა-ძიუდოში. შეჯიბრი ჩატარდა ძიუდოს ახალი საერთაშორისო წესების მიხედვით და მონაწილეობა მიიღო 200-მდე სპორტსმენმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან: სენაკი, გორი, ზესტაფონი, ქუთაისი, აბაშა, ხელვაჩაური, ზუგდიდი, სამტრედია, მარტვილი, ტყიბული, ფოთი, ხობი. ტურნირი საზეიმოდ გახსნა სასპორტო გაერთიანების მთავარმა სპეციალისტმა სპორტისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში ანზორ

ცაგურიამ. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ხვიჩა ნარმანიამ. შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი. წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტის დეპუტატს,სსრკ სპორტის ოსტატის იგორ ნარმანიას ხსოვნას. ტურნირს ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია. მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი. აგრეთვე მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი. სენაკის სასპორტო გაერთიანების დირექტორი ჯუმბერ ლაშქარავა. დირექტორის მოადგილე ნუგზარ ძაძამია. ტურნირი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის სპორტსმენებმა.

I - ადგილზე გავიდნენ: - სალომე სოლომონია 44კგ; ნინი ხუნჯუა 36კგ; მარიამ ფარულავა 24კგ; ანანო კინწურაშვილი 30კგ; დიანა ჭაავა 44კგ; ცოტნე ჩიქობავა 33კგ; ანდრია ჯანაშია; გაბრიელ ქანთარია. მეორე ადგილზე- გელა საჯაია; გიორგი გელაძე, III- ადგილზე - მარი სიჭინავა 40კგ; ნინი მამულია 40კგ; თეა დემურია 40 კგ; მართა ჩიქობავა 36კგ; მართა ჯგერენაია 44კგ; მარი სოლომონია 63კგ; ალექსი გულუა 26კგ; ილია გარუჩავა 30კგ; მიხეილ ესაკია 45კგ.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასებით, მედლებით და სიგელებით (მწვრთნელ-მასწავლებლები: გელა ხარბედია და უჩა ჯღარკავა). ტექნიკური ჭიდაობისთვის ჩიქობავა ცოტნე დაჯილდოვდა თასით და სიგელით.

ვულოცავთ ტურნირის გამარჯვებულებს, მწვრთნელებს ასეთ მიღწევებს და ვუსურვებთ სამომავლოდ წარმატებულ ასპარეზობებს.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლაში გაიმართა ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. რომელიც მიეძღვნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული გმირის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ზვიად გამსახურდიას დაბადების 80 წლისთავს.

ტურნირი საზეიმოდ გაიხსნა. წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ზვიად გამსახურდიას ხსოვნას. შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. ტურნირში მონაწილეობდნენ სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოჭიდავეები. ტურნირის მიმდინარეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მერიის განათლების,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი გოგიტა მზარელუა. სენაკის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, სენაკის საკრებულოს წევრი ბესიკ ნარმანია, სენაკის სასპორტო გაერ-

თიანების დირექტორი ჯუმბერ ლაშქარავა, დირექტორის მოადგილე ნუგზარ ძაძამია, სასპორტო გაერთიანების თანამშრომლები, შესაბამისი სამსახურებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პირველ ადგილზე გავიდნენ: გიორგი ქადარია, დიმიტრი რურუა, გიორგი ქვარცხავა, მათე ჭკადუა, ირაკლი ჩიქობავა, ლუკა კოღუა, თემურ ქალდანი, ლევან ხურცია. მეორე ადგილზე- ნიკოლოზ გერგაია, გიორგი გაბუნია, გიორგი ხუნჯუა, ომარ დამენია, დიმიტრი მეფიშვილი, დიმა გვარამია, ანრი მალანია, ნიკოლოზ ზარქუა. მესამე ადგილზე კი- მოსე ჟვანია, გიორგი გრიგოლია, ბესიკ კვარაცხელია, ალექსი ქავთარაძე, ლუკა გერგაია, ბექა ჟვანია, ანრი დუდუჩავა, ლუკა შულაია, ბაჩო გვაძაბია, სანდრო ლაშქარავა, კობა ბუკია, ნიკა ტყებუჩავა, დათა გვარამია, ლაზარე კვარაცხელია, გიორგი გუნია, გიორგი ხარებავა.

ტურნირში გამარჯვებულებს სიგელები, თვითმმართველობისა და სასპორტო გაერთიანების წარმომადგენლებმა, აგრეთვე ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებმა გადასცა.

ირინე გაგუა, სენაკის სასპორტო გაერთიანების საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

რუსუდან ურიდია

ალბათ ცხოვრება გაგრძელდება: გაგრძელდება ტკივილით, ტკივილიანი მონატრებით, გამძაფრებული პასუხისმგებლობით... ჩვენს ოჯახში გაჩნდება ხშირად დასმული კითხვა: „რუსიკოს მოეწონებოდა?" „რუსიკო რას იტყოდა?" „ხომ არაფერს ვცოდავთ"...

...დატვირთული ბიოგრაფიის ქალბატონი იყავი, სასახელოდ დატვირთული! ეპოქის შესაბამის საკმაოდ მაღალ თანამდებობებს ისე ართმევდი თავს, საოცარი იყო: როგორც იტყვიან, ამ „თითისტოლა ქალს" როგორ შეეძლო ამდენი! ფასეულობების შეფასების შენეული კრიტერიუმები გქონდა, მაგრამ შენს აზრს სხვას არ მოახვევდი, თუმცა მყარად იდექი საკუთარ მოსაზრებაზე.

განსაკუთრებით პედაგოგიკა იყო შენი ღვაწლის ასპარეზი, მამისგან დაგყვა ახალგაზრდობასთან ურთიერთობის პოტენციალი და ხიბლი. შენს ე.წ. „ბლოკნოტში" ჩანაწერები სწორედ პედაგოგიკაზე იყო. თქმულა: ქალი, პირველ რიგში, დედობითა და დისახლისობით ფასდებაო. არადა, მართლა განსაკუთრებული დედა იყავი. ურთულეს პერიოდში მოგიწია შვილების გაზრდა და აღზრდა, საზოგადოება დაგვეთანხმება, რომ ორი კარგი მოქალაქისა და ექიმის ჩამოყალიბება არ იყო ადვილი.

შენს კარგ ქალობაზე ისიც მეტყველებს, რომ მოქალაქეობრივი შეგნებით, განათლებით, პროფესიული კომპეტენტურობით გამორჩეულ დავით ვახანიას გვერდით ღირსეულად ედექი ჭირსა და ლხინში!

... კულინარიც ხომ შეუდარებელი იყავი, ხელოვნების დონემდე იყო შენი გაშლილი სუფრა!

ლევანიკოს როგორი ბებიობა გაუწიე, საიმედო მამიდა იყავი. ძმის, ეროვნულობით გამორჩეული კარგი ექიმის, რემიკოს სიკვდილმა ჯანმრთელობაც შეგირყია, ალბათ! ზოგს არ უყვარს გამოთქმა: „ვაჟკაცური ქალიაო", მაგრამ მეგობარი მამაკაცები სწორედ ასე გაფასებდნენ.

... და კიდევ: იუმორის ნიჭით ახალისებდი ირგვლივ მყოფთ.

ყველას ძალიან ეტკინა გული შენი სიკვდილით! უფერულად გამოჩნდება მობოდიშებასავით ნათქვამი: არაფერი დავიშურეთ შენს ავადმყოფობასთან საბრძოლველად, მაგრამ ...

... შენი „პელაგონელები", მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც დაზაფრა შენმა წასვლამ. დიდები ტიროდნენ, პატარები გამშრალგაოცებულნი იყვნენ.

გპირდებით არდავიწყებას, სიყვარულს! იმედს გატანთ, რომ არ შეგარცხვენთ!

ოჯახი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი სენაკელების

რუსუდან ურიდიას, ომარ გაბედავას და მხედარ ჩაჩავას

გარდაცვალების გამო.

სენაკის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყება სკოლის ყოფილი დირექტორის

რუსუდან ურიდიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ალექსანდრე ჯანჯღავას დედის

ზაირა ჯოჯუა-ჯანჯღავას

გარდაცვალების გამო

მედეა წირღვავა, მაგდა და გიორგი გარუჩავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მზია ძაძამიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჭიაბერ კობერიძეს დედის გარდაცვალების გამო.

ხეზე გაკრული ლექსი

(ეძღვნება 9 აპრილს)

ცხრა აპრილს ხეზე გავაკარ ლექსი,
წამოფრენილი ნაუცბათევად,
ცას შეჰღაღადა იმ ლექსმა კვნესით
ირგუნა ცრემლით ღამის გათევა.
დუღდა თბილისი სევდით შეძრული
სწვავდა, დაგავდა გულებს სამხილი
შეფოთლილები ფურცლით, მრავალით,
ხენიც გალობენ ტოტებდახრილი
ლექსებს იმდენი მეჭირისუფლე
არა ჰყოლია არასდროს მართლაც,
სანთლებს ანთებდა თვითონ უფალი,
და ლექსიც ენთო სანთლებთან სანთლად.

ნაზიკო კვაშილავა

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.
ტელ: 223779; 223711; 223499.